სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/232

21 აგვისტო 2019

ქ. თბილისი

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე დასაქმების და შენარჩუნების სტრატეგიის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 აგვისტოს №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე დასაქმების და შენარჩუნების სტრატეგია“ დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

აკადემიური საბჭოს 2019 წლის 21 აგვისტოს

№01-05-04/232 დადგენილების დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე დასაქმების და შენარჩუნების სტრატეგია

1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. ამავე დროს უნივერსიტეტი აცნობიერებს ახალგაზრდა კადრების არსებობის მნიშვნელობას. როგორც წესი, ახალგაზრდა კადრები უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს, რადგან ისინი განსაკუთრებით მოტივირებულნი არიან და დიდი ინტერესი, უნარი და მონდომება გააჩნიათ ახალი იდეებისა და მიდგომების შეთვისებისა და დანერგვისათვის, აგრეთვე პიროვნული განვითარებისა და კარიერული წინსვლისათვის.
2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და სხვა სამართლებრივი აქტების თანახმად, აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
3. ზოგადად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დასაქმების მსურველი პირებისათვის, მათ შორის ახალგაზრდებისათვის, მიმზიდველია მაღალი რეპუტაციის, იმიჯის, კარიერული წინსვლის შესაძლებლობის, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის და სხვა ფაქტორების გამო.
4. უნივერსიტეტი ცდილობს კიდევ უფრო გააუმჯობესოს ხელშემწყობი გარემოებები და შეამციროს ხელისშემშლელი ფაქტორების გავლენა ახალგაზრდა თანამშრომლებისთვის გამიზნული სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიებებით, რაც ზრდის საკონკურსო თანამდებობების დაკავების მსურველთა რაოდენობას.
5. უნივერსიტეტში ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე მოზიდვის და შენარჩუნების სტრატეგია ეყრდნობა არსებულ ტრადიციებს და ახალ მიდგომებს.

2. ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე დასაქმების სტრატეგია

1. უნივერსიტეტის საშტატო განრიგის პროექტის განხილვისას შეისწავლება თანამდებობათა ჩამონათვალში იმ აკადემიური და სამეცნიერო პოზიციების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობაა, რომლებზეც ნაკლები სამუშაო გამოცდილებაა საკმარისი. ამით გაიზრდება კონკურსში ახალგაზრდების მონაწილეობის შესაძლებლობა. ამავე მიზნით დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრებისთვის (შემდგომში – ინსტიტუტი) დამტკიცებულ სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესებში განსაზღვრულია პირის პოსტდოქტორანტების მიღების თავისებურებები, ხოლო უნივერსიტეტის წესდებით განისაზღვრა პირის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე მოწვევის შესაძლებლობა.
2. ინფორმაცია აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება დადგენილი წესებით განსაზღვრულ ყველა ადგილზე და კომუნიკაციის საშუალებაში. გარდა ამისა, დეკანატებს, აკადემიურ დეპარტამენტებს, ინსტიტუტებს ევალება კონკურსის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამისი კვალიფიკაციის, სწავლასა და კვლევაში გამორჩეულ, წარმატებულ ახალგაზრდა კურსდამთავრებულებს, ხელი შეუწყონ მათ საჭირო დოკუმენტების მომზადებაში და

გაუწიონ სათანადო კონსულტაციები, განუმარტონ საკონკურსო პროცედურების თავისებურებები.

3. „კონკურსანტის ანკეტის“ დამტკიცებულ ფორმაში მოთხოვნილია ინფორმაცია პედაგოგიური საქმიანობის შესახებ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში; გარდა ამისა, დიფერენცირებულადაა მოთხოვნილი ბოლო 10 წელიწადში და უფრო წინა წლებში გამოქვეყნებული შრომების/აქტივობების ასახვა, რაც ზრდის ბოლო პერიოდში უფრო მეტად აქტიური, მათ შორის ახალგაზრდა კონკურსანტების შანსებს.
4. უნივერსიტეტი მომავალ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ხედავს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულებაში ჩართულ სტუდენტობაში. ამიტომ უნივერსიტეტი გეგმავს და ახორციელებს მრავალრიცხოვან ხელისშემწყობ და წამახალისებელ აქტივობებს:
    - ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია;
    - კონფერენციაზე ვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც ჯილდოვდებიან დიპლომებით;
    - გამოიცემა კონფერენციის შრომათა კრებული;
    - შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტში სავალდებულოა უნივერსიტეტის სტუდენტის მონაწილეობა;
    - უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტთა სამეცნიერო კუთხით წარმოდგენილ ინიციატივებს;
    - უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მოსწავლეთა საინჟინრო აკადემია, ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი ცენტრი „ერთად“, „სტუდენტური სერვის ცენტრი“. ეს სერვისები ხელს უწყობს ახალგაზრდებში მენიერების პოპულარიზაციას, მათი კვლევითი პოტენციალის გაძლიერებას, კვლევაში ჩართვის ინტერესის გაღვივებას.
    - უნივერსიტეტში მაღალი სტანდარტის კვლევისა და სწავლების განხორციელებისათვის დაგეგმილია ახალი ორგანიზაციული ერთეულების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინსტიტუციური ქსელის ჩამოყალიბებას. ჩამოყალიბდება სადოქტორო და სამაგისტრო ფაზის ფაკულტეტთაშორისი საუნივერსიტეტო სტრუქტურები (გრადუირებულთა სკოლები და კოლეგიები). მაღალრეიტინგულ მკვლევართა ჯგუფები –„ექსელენს კლასტერები“ (Excellent Cluster) და ცოდნის ტრანსფერის ხელშემწყობი სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფს კვლევის ახალი თემების იდენტიფიკაციას, მათ სისტემურ ხელშეწყობას და გაძლიერებას.
    - უნივერსიტეტი ახორციელებს საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში წარდგენილი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების საკონკურსო პროექტების თანადაფინანსებას.
5. რამდენადაც ძირითადად აკადემიური და/ან სამეცნიერო თანამდებობების დაკავების ერთ-ერთი წინაპირობაა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის არსებობა, უნივერსიტეტი მეტად უჭერს მხარს ნიჭიერ და აქტიურ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, რათა მათ სწავლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელონ სწავლების შემდგომ საფეხურზე/საფეხურებზე. ამასთან, შესაბამისი კონკურსების წარმატებით გავლის მიზნით ხელს უწყობს მათ სათანადო რჩევა-დარიგებებისა და უფასო კონსულტაციების გაწევის გზით.
6. უნივერსიტეტი ფართოდ ავრცელებს ინფორმაციას იმ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მასშტაბის კვლევებში მონაწილეობისა და მიღწეული წარმატებების შესახებ, რითაც

იამაყებდა ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის უნივერსიტეტი, რაც უკვე იქცა სტუ-ის სავიზიტო ბარათად და უნდა გახდეს მასში დასაქმების თვალსაზრისით ძლიერ სარეკლამო ინსტრუმენტად:

- „ატლასის“ პროექტის განსახორციელებლად ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN, შვეიცარია) მოღვაწეობა;
- ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტსა (დუბნა, რუსეთი) და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სამეცნიერო საკონტრუქტორო სამუშაო;
- უნივერსიტეტის მრავალი საერთაშორისო ქსელისა თუ ასოციაციის (EUA, BSUN, AAC&U და სხვ.) წევრობა;
- უნივერსიტეტის წარმატებული პარტნიორული ურთიერთობები მსოფლიოს ისეთ წამყვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევით ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: იაპონიის მაღალი ენერგიების ამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაცია - KEK, გერმანიის იულიხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, CERN - ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია (შვეიცარია), ბირთვული კვლევების ერთობლივი ინსტიტუტი - JINR (დუბნა, რუსეთი), იტალიის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი - INFN და სხვ.;
- უნივერსიტეტსა და CMS (LHC, CERN) შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში წარმატებით განხორციელებული ოთხი ერთობლივი პროექტი;
- უნივერსიტეტის მონაწილეობა „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს” პროექტში, რომლის ფარგლებშიც სტუ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან (SDSU) თანამშრომლობით ბაკალავრიატის სამ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს;
- უნივერსიტეტში ABET აკრედიტებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- უნივერსიტეტსა და აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტს (აშშ) შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი პროექტების განხორციელება;
- იგივე ხელშეკრულების საფუძველზე აიოვას უნივერსიტეტში არსებული პროგრამების დაწერგვა პარტნიორობის ფარგლებში, აღნიშნული უნივერსიტეტიდან კოლეგების მოწვევა;
- ვილდაუს, ფლენსბურგისა და ბრანდენბურგის უნივერსიტეტებისა და სტუ-ს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ ლოგისტიკის ქართულ-გერმანულ ენოვანი ერთობლივი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება;
- საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდის ფარგლებში სტუ-ს თანამშრომლობა გერმანიის იულიხის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან, რომლის მიზანია ხელი შეეწყოს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტების ჩართულობას იულიხის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტებში;
- 2012-2015 წლებში შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდისა და იულიხის ცენტრის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სტუ-ს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მიერ კვლევების ჩატარება იულიხში;
- 2010-2017 წლებში იულიხის კვლევით ცენტრში სტუ-ის ათეულობით სტუდენტის მიერ სტაჟირების გავლა.

- იულიხის ცენტრის ნეირომედიცინისა და მედიცინის ინსტიტუტის მხარდაჭერით სტუ-ში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა "სამედიცინო ფიზიკის" განხორციელება;
- სტუ-ის, ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ განხორციელება;
- სტუ-ში საერთაშორისო პროგრამის „შემოდგომის ლექციები თბილისში“, ფარგლებში 2013 და 2015 წლებში სტუ-ის სტუდენტებთან ერთად იტალიისა და გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მონაწილეობა, სადაც ლექციებს კითხულობდნენ იულიხის კვლევითი ცენტრის პროფესორ-მასწავლებლები;
- ხელშეკრულების ფარგლებში იულიხის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ სტუ-სთვის ტექნიკური აღჭურვილობის გადმოცემა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების კვლევითი პროექტების წარმართვას;
- საქართველოში პირველად, თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი ლიფტების წარმოების სტუ-ის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის ბაზაზე დაწყება და სხვ.

7. უნივერსიტეტში გაგრძელდება და გაძლიერდება ლაბორანტის/სპეციალისტის/ მკვლევარის და/ან სხვა თანამდებობებზე ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების აყვანის დამყარებული ტრადიცია, რამდენადაც აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული ახალგაზრდები უფრო მოტივირებული ხდებიან კარიერული წინსვლის გზად დაისახონ აკადემიური ან/და სამეცნიერო მოღვაწეობა.
8. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სწავლასა და კვლევაში წარმატებულ სტუდენტებს ეძლევათ რჩევა-დარიგება, რომ სამომავლო ორიენტაციად დაისახონ მშობლიურ უნივერსიტეტში აკადემიურ და/ან სამეცნიერო თანამდებობებზე დასაქმება.

3. ახალგაზრდების აკადემიურ და სამეცნიერო პოზიციებზე შენარჩუნების სტრატეგია

1. დეკანატები, აკადემიური დეპარტამენტები და ინსტიტუტები ხელს უწყობენ ახალგაზრდა თანამშრომლებს, განსაკუთრებით საქმიანობის საწყის პერიოდში, რათა აღნიშნულმა პირებმა სწრაფად და უმტკივნეულოდ გაიარონ ადაპტაცია. ამ მიზნით ტარდება და კვლავაც ჩატარდება შემდეგი ღონისძიებები:
    - ხელმძღვანელის მიერ ახალი თანამშრომლის წარდგენა ფაკულტეტის საბჭოზე/ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე/აკადემიურ დეპარტამენტში და/ან სხვა სტრუტურულ/ორგანიზაციულ ერთეულში;
    - კონსულტაციების გაწევა დაკავებულ პოზიციათვის დადგენილი თანამდებობრივი ინსტრუქციით ან სხვა დოკუმენტებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების სწორად გაგებისათვის, აგრეთვე მათი რელიზაციის თავისებურებების შესახებ;
    - დახმარების გაწევა გაურკვეველი საკითხების დროულად გაგება-გაცნობიერებაში;
    - შეთავაზებული იქნება პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი პროგრამები;
    - სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა.

2. კვლავაც ხელი შეეწყობა უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო კონფერენციების, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერებისათვის განკუთვნილი კონფერენციების ორგანიზებასა და ჩატარებას.
3. კვლავაც ხელი შეეწყობა აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და, უპირატესად ახალგაზრდებს, რათა:
    - სწორად დაგეგმონ კვლევის პროცესი უნივერსიტეტის რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით;
    - კვლევის შედეგები გააფორმონ სტატიებისა და მონოგრაფიების სახით;
    - გამოაქვეყნონ ნაშრომები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა და საერთაშორისო გამომცემლობებში;
    - მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში;
    - დადგენილი წესების მოთხოვნების დაცვით, უხარვეზოდ გააფორმონ და წარადგინონ სამეცნიერო ფონდებში საგრანტო პროექტები;
    - ჩაატარონ საპატენტო კვლევა და გააფორმონ განაცხადები პატენტის მოსაპოვებლად, უპასუხონ ექსპერტთა მიერ დასმულ კითხვებზე;
    - მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში;
    - ისარგებლონ მოქნილი სამუშაო განრიგით და ა. შ.
4. მე-2 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ აქტივობებში ჩართული პირები თავიანთ კარიერას, როგორც წესი, მთლიანად უნივერსიტეტს უკავშირებენ. ასეთი პირები მოტივირებულები არიან არა სხვაგან სამსახურის ძებნაზე, არამედ უნივერსიტეტის ფარგლებში უფრო დიდი, ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაზე. ამიტომ ასეთი პროექტების რაოდენობისა და მოცულობის ზრდა უნივერსიტეტის სტრატეგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იქნება.
5. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, გადინების შემთხვევაში მოხდება გამომწვევი მიზეზების გამოვლენა და აღმოფხვრა. ამ მიზნით უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კონფიდენციალურ გამოკითხვებს, რაც უზრუნველყოფს სანდო და ობიექტური შეფასებების მიღებას. ასეთი გამოკითხვები უნივერსიტეტს აცნობს ჩამოყალიბებულ შეხედულებებსა და მოსაზრებებს პერსონალის სამსახურიდან წასვლისა და სხვა დაწესებულების სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების მიზეზების შესახებ, აწვდის ინფორმაციას პრობლემური სფეროების (სწავლება, კვლევა, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საქმიანობა) და არსებული პრობლემების ხელშემწყობი გარემოებების შესახებ. აღნიშნული უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს, რათა დაისახოს ახალი, ეფექტიანი სტრატეგიული მიმართულებები უნივერსიტეტის საქმიანობისა და პერსონალის პირობების გაუმჯობესების გზების შესახებ.